

ახალგაზრდა კურალი

ქვეყნის დამაარსებელი
1921 წლის

30
აკრილი
საშუაგაბითი
1991
№ 49
(11682)

ქვეყნის
ბიზნისი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპპ.

27 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა. თავმჯდომარეობდა გატონი ნაგო გურგულაძე, სხდომას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, გატონი ზვიად გამსახურდია.

ალფა ისტორიული

პირველივე საკითხმა ცხადყო, რომ უზენაესი საბჭო კვლავ პრინციპულად ახორციელებს შიდა ქართლში ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკას. დეპუტატებმა პრეზიდენტს წარუდგინეს კანონი ცხინვალის და ყორნისის რაიონების გაუქმებისა და მათი, შესაბამისად, გორისა და ქარელის რაიონების შემადგენლობის შესახებ. უზენაესი საბჭოს დადგინებით, საქართველოს ტრადიციული დარაიონების შესაბამისად, ჯავის რაიონს გამოეყო და საჩხერის რაიონს გადაეცა 20,4 ათასი ჰექტარი მიწა და სინაგორის სასოფლო საბჭო, ხოლო ორის რაიონს — 38,6 ათასი ჰექტარი მიწა და კიროვისა და ჩხაივლის სასოფლო საბჭოები.

პრეზიდენტის ძალა

როცა კანონს შესაბამისად დადგა თანამდებობრივ მდგომარეობასთან უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობის საკითხი, ბატონმა ავთანდილ იმნაძემ დააყენა წინადადება უზენაესი საბჭოს წევრად პრეზიდენტის დეტალების შესახებ. დეპუტატებმა უარყვეს ეს წინადადება მას შემდეგ, რაც ბატონმა ლევან ალექსიძემ განაცხადა, რომ საქართველოში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთშეუთავსებლობის პრინციპები, და პრეზიდენტის ძალა იმპერიულია, რომ ის არ არის პარლამენტის წევრი.

კომპენსაცია

ბანურჩევალად ქველას
თუ კომპენსაციების როგორი სისტემა შემოვიღო. სსრკ პრემიერმა ფასების არსებული გაზრდის პირობებში და რამდენად უზრუნველყოფს ის მოქალაქეთა სოციალურ დაცვას, ეს ყველასათვისაც ცნობილია. ამდენად, ის, რომ სხდომაზე გადაწყდა, მოიხსნას ყოველგვარი შეზღუდვა და გაუქმდეს დაწესებული მინიმალური ზღვარი (280 მან.) მცირეწლოვანი ბავშვებისათვის კომპენსაციის დაწესება.

...და მიმდინარე

იქნება თუ არა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ყველაზე მცირეხელისაა, უნდა გადაწყვიტოს დეპუტატებს. ბატონი მინდია სალუქვაძის მოსაზრებით, მსგავსი რამ დაუშვებელია, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და ხელფასიც შესაფერისი უნდა ჰქონდეს. არცთუ სერიოზული საკითხი სესიაზე შესაძლოა უფრო ფართო მსჯელობის საგანი გამხდარიყო, თუ არა თვით პრეზიდენტის ვანცხადება, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის დაბალი ხელფასი განაპირობებულა შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობით და გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან.

სოფლის მხრომელთა ინტერესებისათვის

როგორც ჩანს, სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ და კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოსათვის გადაგადაცილებული და განვადებული სესხების დავალიანების ჩამოწმის შესახებ, ბევრად შეუწყობს ხელს მათი მუშაობის გაუმჯობესებას. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან ფინანსური მდგომარეობის შესახებ სესიაზე საკმაოდ ცხარე კამათი გაიმართა. ამ საკითხებზე რედაქცია უახლოეს ხანში შემოგვთავაზებთ ინტერვიუს უზენაესი საბჭოს აგრარული რეფორმის კომისიის თავმჯდომარესთან, ბატონ პაატა კოლუაშვილთან.

წითელმა არმიულმა დააპატიმრეს „საზიზი“ დამნაშავე 70 წლის ქართველი ძალი...

ეს ინფორმაცია მიიწოდა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დეპუტატ-

ებს, როცა დაიწყო სამაჩაბლოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის განხილვა. პრეზიდენტმა დაასახელა არაერთი ფაქტი სსრკ შინაგანი ჯარების ბრძაროსული მოქმედების შიდა ქართლში და ილაპარაკა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, სადაც, როგორც ჩანს, მზადდება ჩეჩენი და ინგუში ხალხების გენოციდი.

თუ რა კეთდება სამაჩაბლოში შექმნილი რთული ვითარების რეგულირებისათვის, ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ბატონმა ლევან ალექსიძემ, რომელიც სულ ახლახან მეთვალყურედ იმყოფებოდა სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე. როგორც იცით, სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სამაჩაბლოში საკითხის პოლიტიკური შეთავაზებით გადაჭრის აუცილებლობას; შეიქმნა სათანადო კომისია, რომელსაც ექნება განსაკუთრებული უფლებამოსილება. ბატონ ლევან ალექსიძის აზრით, ეროვნებათა საბჭოში სამაჩაბლოს საკითხის განხილვის შედეგები დადებითად უნდა შეფასდეს; აქ ისიც მნიშვნელოვანია, რომ მიღებულ დოკუმენტებში საქართველო მოხსენიებულია როგორც პარტიზონი და არა როგორც დაპყველებად მდგომარეობის მქონე რეგიონი. ეს მოსაზრებები გაიხიარა ბატონმა თედო პაატაშვილმა და აღნიშნა, რომ მოსკოვში მიღებული დოკუმენტები ჩვენ არაფერს გვაგვარებულან, მაგრამ ის უნდა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ. მთავარია დაიწყოს მოლაპარაკება.

საკითხისადმი ასეთი ოპტიმისტური დამოკიდებულება არ გაიხიარა ზოგიერთმა დეპუტატმა. მაგალითად, ბატონმა ნოდარ ნათაძემ მიიჩნია, რომ ის, ვინც ხმა არავინ გამოთქმას — სამხრეთ-ოსეთი, რადიკალურად ეწინააღმდეგება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მის უფლებამოსილებას და ჩვენ არ უნდა შევურიგდეთ მის ხმაურებს. მან აგრეთვე ეჭვი შეიტანა კომისიის მუშაობის ეფექტურობაში. ჩვენ, განაცხადა მან, სუვერენული სახელმწიფო ვართ და უნდა ვენდოთ მხოლოდ გაეროს კომისიას.

თავის გამოსვლაში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ეჭვი გამოთქვა კომისიის უფლებამოსილების რეალუბაში და პრინციპულად

არ დაეთანხმა ეროვნებათა საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში ტერმინ „სამხრეთ-ოსეთის“ გამოყენებას და აღნიშნა, რომ საჭიროა იქ ჩამატოს სიტყვა — „ყოფილი“.

საბოლოოდ დეპუტატებმა, კონსულსის საჭიროების გამო, აღნიშნეს, რომ ამ საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გამოთქვამს თავის მოსაზრებას, ამასთან, ისიც ითქვა, რომ არ უნდა ჩაიშალოს კომისიის მუშაობა, რადგან ის არის მოლაპარაკებების დაწყების და რთული ვითარების პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრის ერთ-ერთი გზა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, სესიაზე წინადადება შეიტანა, რომ ვინაიდან სსრკ ხელისუფლება კვლავ უხეზავს ეროვნებათა საბჭოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში, საჭიროა, პროტესტის ნიშნად, საქართველოს სსრკ სახალხო დეპუტატებმა უარი თქვან თავიანთ უფლებამოსილებაზე.

სხდომის დასასრულს, ხვდა-ხვდაში, დეპუტატების მიერ დაყენებული იყო რამდენიმე საკითხი:

გაუქმდება თუ არა საკონდიტრო და კვების პროდუქტების მიწოდება?

სესიაზე თბილისის პრეფექტმა ბატონმა ირაკლი ანდრონიძემ ქალაქის კვების პროდუქტებით მომარაგების სერიოზული შეფერხებების და ამ სფეროში არსებული სხვა სერიოზული დარღვევების გამო, დააყენა საკითხი საკონდიტრო და კვების კონტრაქტების წლის ბოლომდე ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ, თუმცა ბატონმა რომან გოციონიძემ მიიჩნია, რომ უფრო სწორი იქნება განვიხილოთ არა კონტრაქტების, არამედ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის საკითხი.

უამილი... თბილისში

ბატონმა ნოდარ ნათაძემ დააყენა საკითხი, რომ თბილისის რომე-

ლიმე მოედანს ეწოდოს შამილის სახელი და დაიდგას იქ მისი ძეგლი.

და კვლავ აპარა

როცა ბატონმა გოგი ქავთარაძემ სესიას აცნობა აპარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ბატონ თენგიზ ხახვას გადაცემისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ, მას ბატონმა ნემო ბურჯულაძემ განუმარტა, რომ ამის შესახებ მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დამთავრების შემდეგაცაა მხოლოდ შესაძლებელი სრული ინფორმაციის მიღება.

აპარაში შექმნილი სიტუაციის შესახებ ბატონმა თამაზ დასამიძემ არცთუ მრავალმნიშვნელოვნად აპარაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო მრავალი მკვიდრი რეგიონალური ორგანიზაციები დაადანაშაულა. მისი აზრით, დაშვებული შეცდომების გამო, წყალობი ჩაიყარა უცანასკნელ 4 წლის ბავშვებში, საჭიროა, პროტესტის ნიშნად, საქართველოს სსრკ სახალხო დეპუტატებმა უარი თქვან თავიანთ უფლებამოსილებაზე.

მარაბ დაპითიქა

ქარონიკა
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო პაატა ბიორბის ძე გველმანიანი აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოადგილე; ბირბის ძე ვახტანგის ძე ზამბახიძე — თავმჯდომარის მოადგილე.

ვის მხარეზეა ვალენტინ გულაჰა?

მეორე კვირა საქართველოში გაფიცვა გრძელდება. როგორც საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციის საგაფიცო კომიტეტის წევრმა, პროფმუშაობის კოორდინაციის განყოფილების გამგემ ვია ვოლსკი გვიჩვენა, ამჟამად რესპუბლიკაში გაფიცულია 171 ათასი აქტიური მუშაკი, საწარმოები არ არის გაჩერებული, პროდუქცია მზადდება, მისი ნაწილი ეგზავნება მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, დანარჩენი კი გროვდება საწყობებში. ბარტყული გაცვლა არ შეწყვეტილა არც ერთ რესპუბლიკასთან.

ბიან საქართველოს რესპუბლიკის პროფკავშირების წარმომადგენლები, თუმცა არის მთელი რიგი სირთულეები. კერძოდ, თბილისის სატანკო ქარხანაში. როგორც ქარხნის მუშამ, საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარემ მაგალითი ლიბარტინიანმა გვიჩვენა, ამჟამად ფაქტობრივად პარალიზებულია მთელი ქარხანა, ამის საპასუხოდ ქარხნის დირექტორმა ვალენტინ გულაჰამ (ის ეროვნებით უკრაინელია) 29 აპრილს დაიწყო რეპრესიები ქარხნის ქართული მშრომელების მიმართ (ქართველები კი აქ 22%-ია). სამსახურიდან დიათბოგეს სამშრომლო უფროსი, კადრების განყოფილების გამგე და მათ ადგილზე რუსი ეროვნების წარმომადგენლები დანიშნეს. თუ გაფიცვა არ შეწყდება, გადაწყვეტილია ქარხნის ყველა ქართველი თანამშრომლის განთავსებულა და მათ ადგილზე სამხედროების მიღება. შეითხზნია ბრალდებით აღიარებული სისხლის სამართლის საქმე საგაფიცო

კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ელუარდ ტონოიანის მიმართ. ნელმდგენლობამ ქარხნის საერთო საცხოვრებლო-დანიშნულები მობინდარების გამოსახლება გადაწყვიტა. რესპუბლიკური საგაფიცო კომიტეტში ჩვენი ყოფილსავე ვია ვოლსკი ტელეფონით ესაუბრა ვალენტინ გულაჰას, რომელიც ჭერჯერობით არანაირ კომპრომისზე არ აპირებს წასვლას. ასე რომ, თუ ვია მხარეზეა გულაჰა, ძნელი გამოსახლება არ უნდა იყოს. ასეთი იყო რესპუბლიკაში მდგომარეობა გულაჰა სადამოსთვის. გაუწყობი, აგრეთვე, რომ რესპუბლიკაში ერთ კვირაზე მეტია შექმნილი საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირთა კონფედერაციის საგაფიცო ფონდი „სოლიდარობა“, მისი ანგარიშია № 700001.



გვარდია: ვემსახურები საქართველოს რესპუბლიკას



ახალგაზრდა ლეიტენანტმა თავისი გვარი დაგვისახელა და ამასთან გვთხოვა ნუ ვახსენებდით მას რეპორტაჟში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მიერ ფიცის მიღების ცერემონიდან, რომელიც 26 აპრილს გაიმართა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

საქითი, იგი თავისი 53 წლის ასაკში უწყომანოდ ჩამოსცილდა სამშენებლო მოედანს და ოფიცრის ფორმა ჩაიცვა, რომელიც მანამდე არასოდეს უტარებია. ზეიმზე მოვიდნენ თბილისის სამხედრო სკოლის მოსწავლეები სკოლის დირექტორის ფირუზ ყულბერაშვილისა და ოფიცრის მამუკა ჯორჯაძის თანხლებით. გავლის რამდენიმე წელი და ეროვნულ გვარდიაში შევლენ წინაპართა მხედრული ხელოვნების ახალგაზრდა მემკვიდრენი. ზეიად ზარიძე, გოჩა ზოიძე, როინ მჭედლიძე, აკაკი შონია, ლაშა გოდოლაძე...

ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას, რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს, მინისტრებს, სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს. პოლკოვნიკმა გიორგი პაპავაძემ პრეზიდენტს მოახსენა, რომ გვარდია მზად არის ფიცის მისაღებად. ბატონმა ზეიად გამსახურდიამ შემოიხილა მოკლე სიტყვით მიმართა. მან აღნიშნა, რომ გვარდიელობა საპატიო და ამავე დროს პასუხისმგებლობაა. ამიერიდან სამშობლოს, მისი დამოუკიდებლობისადმი ერთგულებამ უნდა განსაზღვროს იმათი ცხოვრების არსი, ვინც გადაწყვიტა



ცხოვრება მიეძღვრება საქმეს მოაბმარს.

პრეზიდენტმა გვარდიას გადასცა საბრძოლო დროშები. შემდეგ დადგა ფიცის მიღების საზეიმო მომენტი. მისი ტექსტი წაიკითხა თავად პრეზიდენტმა. გვარდიელები ერთად იმეორებდნენ სამშობლოს ერთგულებისადმი ფიცის წმიდათაწმიდა სიტყვებს, სამშობლოსი, რომელიც მტკიცედ მიიბიჯებს თავისი ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ. ეს იყო ამაღლებული წუთები, ისტორიული მომენტი. ბატონმა ზეიად გამსახურდიამ მიულოცა მემკვიდრე ფიცის მიღება. პასუხად გაისმა ერთსულოვანი ვაჟა. ზეიმი დამთავრდა მხატვრული კოლექტივების გამოსვლით.

თ. ნიკოლაიშვილი, საქინფორმის კორ.



მოუკიდებლობის გზაზე ყოველმა ჩვენგანმა უნდა იკისროს ტვირთის თავისი წილი, რათა საქართველომ მოიახლოვოს თავისუფალი მერმისი ღირსეულად და არა ძნელი ბრძოლით მოქანტულმა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი უნარი იქ გამოიყენებინა, სადაც მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია. შუქტაბლოზე წარწერილი სიტყვები ყოველ დამსწრეს სიამაყით უგებდა გულს: „ეროვნულ გვარდიას დიდება!“

„ქასულე ორკესტრის ხმებსა და დამსწრეთა ტაშის გრილში სტადიონზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდა ეროვნული გვარდიის ბატალიონი. იგი გამწყვრივდა ტრიბუნების წინ. თბილისელები და ქალაქის სტუმრები გულთბილად მიესალმნენ ზეიმზე მოსულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზეიად გამსახურდიას, საქართვე-

თამაზ ლუმბაძე კი მშენებელი ინჟინერი იყო და ორიოდე წლის წინათ რომ ეკითხათ, როლისმე საქმიანობას შეიცვლიდა თუ არაო, პასუხი ცალსახად უარყოფითი იქნებოდა. არადა, როცა დადგა



ეროვნული გიგლიორთქვა

მიწისძვრა საქართველოში

29 აპრილს 13 საათსა და 13 წუთზე ადგილობრივი დროით საქართველოს ფარგლებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, ყველაზე მეტად იგი შეიმჩნეოდა საჩხერის რაიონში, სადაც მისმა სიმძლავრემ 7-8 ბალს მიაღწია. მიწისძვრამ მოიცვა ძირითადად ქალაქ ქიათურის ზონა, ონის, ამბროლაურისა და ტყიბულის რაიონები, საჩხერის რაიონს მძიმეზარე შიდა ქართლის სოფლები. არის ადამიანთა მსხვერპლი, დაზარადა და დაზარადა შენობა-ნაგებობანი. თბილისში მიწისძვრა 4-5 ბალი იყო, რასაც ნგრევა არ მოჰყოლია. საქართველოში ძირითადი მიწისძვრის შემდეგ რამდენჯერმე განმეორდა გაცილებით სუსტი მიწისძვრები. საქინფორმში.

შეიქმნა მთავრობის კომისია

საქართველოში 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომისია. კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, მოადგილე — რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე. კომისიაში შედიან რესპუბლიკის მინისტრები — გურამ აბსაძე, გურამ პირიანაშვილი, მანანა ძოძუაშვილი, ივანე ჩხეიძე, დილარ ხაბულიანი, ალექსანდრე ჩხეიძე, ქ. ქიათურის, საჩხერის, ონისა და ამბროლაურის რაიონების პრეფექტები ნოდარ აბეანაძე, ბესიკ ქუთათელაძე, ოქროპირ ნაგროზაშვილი, გოჩა ბიჭაშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები. იმავე დღეს ბატონი თენგიზ სიგუა და კომისიის სხვა წევრები ჩავიდნენ დაზარალებულ რაიონებში. საქინფორმში.

პრეზიდენტის არჩევნების მოგზაობასა და ნატარეხსთან დაპირისპირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გუაგობის წესი

საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე (1991 წლის 26 მაისამდე) მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად მუშაობენ შემდეგი წესის შესაბამისად:

1. ტელევიზია: 13 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს ან მის ნებისმიერ წარმომადგენელს ყოველდღიურად ეთმობა არაუმეტეს 15 წუთისა საქართველოს ტელევიზიის 1 პროგრამით.
- 14 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებული კანდიდატს ან მის წარმომადგენლებს ეძლევათ თანაბარი დრო ყოველდღიურად (20-30 წუთი) საქართველოს ტელევიზიის 1-ლი პროგრამით.
- პრეზიდენტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს თავიანთი სურვილით შეუძლიათ გააერთიანონ საერთო დრო (ტელედატებისათვის და ა. შ.). განცხადებები წინა დღეს არაუგვიანეს დღის 11 საათისა.
- 24 მაისის ჩათვლით პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს შეუძლია ყოველდღიურად გააკეთოს ინფორმაციული ხასიათის განცხადება 1 ნახევრი გვერდის მოცულობით. განცხადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა შემოვიდეს იმ დღის 15 საათამდე. ტექსტს კითხულობს დიქტორი.
2. რადიო: 24 მაისამდე საქართველოს რადიოში საარჩევნო კამპანიის დაეთმობა:
 - ა) 10 წუთი ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვებებში;
 - ბ) 1 სათი კვირაში — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში.
- რადიოთი გამოსვლის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ პრეს-ჯგუფს:
 - ა) საინფორმაციო გადაცემაში მონაწილეობისათვის არაუგვიანეს წინა დღისა;
 - ბ) სხვა გადაცემებში მონაწილეობისათვის — 1 კვირით ადრე.
3. პრესა (რესპუბლიკური სახელმწიფო გაზეთები): პრეზიდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატს უფლება აქვს 25 მაისამდე კვირის განმავლობაში ზემოაღნიშნულ გაზეთებში გამოაქვეყნოს ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაციული საგანგებო გვერდის საერთო მოცულობით. ამისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-ჯგუფს განცხადება და გამოსაქვეყნებელი მასალა უნდა წარუდგინოს წინა კვირის მანათამდე. გამოქვეყნებისას დატული იქნება ამ მასალის წარდგენის რიგითობა.
- ადგილობრივი პრესა: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაზეთები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაცია. თითოეულ რაიონში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და თანაბრობის დაცვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ტერიტორიული საარჩევნო კომისია.


ნიკოს ვენახთან ბროლის ზოგიერთი თავისებურებაანი უპანახანელ, აკოპალინსკი ეპოქაში.

„ღმერთის ტაძარს მიიწინე თავი შენი და ეცადე არ დაიშარხო გულში გამოვლენებელი კერები.“ (დირხი ისაია ევანგელი)

ანტიქრისტეს — ცრუ მესიის მოახლოებულ გამოჩენის სტრატეგიით ყველაზე არსებით ნიშანს წარმოადგენს საეკლესიო, მასიური, სატანური კულტურის მძაფრი განვითარება, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს — ერთობლივი მადია. თანამედროვე ერთობლივი მედიის მთავარი პრინციპებია: „რაც ბუნებრივია, — არ არის სამარცხვინო“ და აქედან: „დაეწიფე მას ისევე, როგორც სიცხეში ცივ წყალს“. ამ წამბილწველ დემონურ დებულქებზე დაფუძნებული მთელი ეს ოკულტურ-ერთობლივი „მეცნიერება“, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრებს ითრევეს. დამანგრეველი ჯან-როკ-დისკო მუსიკა და გამხრწნელი ვიდეოფილმები, პორნოგრაფიული ლიტერატურის მხურვალე უფსკრულები და ე. წ. სილამაზის კონკურსები, „ფროიდოზმის თეზისებით“ სავსე სარეკლამო პლაკატები და ძველი-ღმერთი ერთობის „უმაღლესი მიღწევების“ დაწვრილებითი აღწერის შემცველი ბროშურები, შესაბამისი აურაცხელი ილუსტრაციებით, მთელი მსოფლიოს დამპყრობელი ლამბადა (ულტრათანამაროვე ერთობლივი კეკე) და სექსუალური დემონიზმის მსგავსი წარმონაქმნები — ყოველივე ეს ქმნის იმ თითქმის ყოველმომცველ, ანტისულიერ, დემონურ ატმოსფეროს, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებას გადააქცევს ერთ დიდ განუწყვეტელ საცდურად.

თავაშებულობასა და ვენებებისადმი მორჩილებას ისინი ამართლებენ მსგავსი ფსიქოლოგიით: „მტერს რომ მოერიო, უნდა იცოდეს მისი იარაღი. წმინდისათვის(!) ყველაფერი წმინდაა“ და ა. შ. ასეთი ლოგიკა ადამიანს შეუმრწმელებად და გარდაუვალად ითრევეს დემონური სულების პირქუშ სამყაროში. რა ხდება, როდესაც ადამიანური აზროვნების სფერო მტერს დაემორჩილება? ვიჩქარი ვიპასუხოთ: ღმერთთან მიახლებებისთვისაა შექმნილი გონება, ის კი, ნაცვლად ამისა, მუდმივ აზრობრივ კონტაქტებს ამყარებს დაცემულ, განდევნილ სულებთან და ამის გამო ღმერთისგან

იყოს, ასეთია მეორედ მოსვლის წინა სინამდვილის სავალალო თავსებებულებანი. ამიტომ საჭიროა, მთელი ჩვენი არსებით მივმართოთ ყოველმომცველ მტერს, რომელსაც ძალუძს, განკურნოს ჩვენი საშინელი ცოდვიანი წყლულები. ორკაცი გულსმოდგინება ღვთის-მამებლობისადმი — უნდა ჰქონდეთ მათ — ვინც ღვთაებრივი ხასწაულით თავი დაადწია წყვილადის ხახხს და უამის დახასრულს მიმართა ხიბართლის მზეს — იეხო ჭრისტეს! ღვთივანბრძობილი მისწრაფება — ყველაფერში, ყველგან და ყოველთვის აამო შემოქმედს ჯერ კიდევ აქ — ცოდვილ დედაშიწაზე, — მოგვიტანს ჰუმანიტი ღვთისშემეცნების ნათელ სინარულს და თავის დროზე გაგვიღებს ღვთაებრივ მარადიულობის კარს. მეორე მხრით, უნდა უკუვაგდოთ დაბლუპველი დაუღი-



იბაქდება ვაჟი არჩილის რეკონსტრუქციით

გონების დასვა

მოიკვებება, ეკარგება მადლი, დაუძლურებული ვარდება ღმერთთან უკველობაში და მჭიდროდ უკავშირდება ჯოჯოხეთურ წყვილადს. ამ შემადრწმუნებელ კაბალას აქვს მწვავე ნაყოფი — სულიერი საქმობისადმი ზიზი, ლოკით — ლიტურგიული ცხოვრების შეწყვეტა და შინაგანი, სულიერი სიკვდილი. მაგრამ ღმერთი მოწყალეა. ხანგძლივი აზრობრივი დაცემის შემდეგ ქრისტიანი გონს მოიძიებს შინა საკუთარ არეებაში მომხდარი ცვლილების, და შეიმეცნებს რა თავის საშინელ, ცოდვიან მონობას დემონებისადმი, — აკეთებს ყველაფერს, რომ ისევ პაპოს დაკარგული თავისუფლება, მაგრამ ეს ასე იოლი როდია. ღმერთი აზრებისა და წარმოსახვების განუწყვეტელი მიღება — ე. ი. შეუწყვეტელი აზრობრივი ძრუჭობა, რომელიც ადამიანური შემეცნების ყველა სტრუქტურას აბნელებს, გადააქცევს მომავლენიებელ ჩვევად და ჩვენი სულიერი ბუნების ორგანულ თვისებად იქცევა, რომლისგან თავდაღწევა უარესად რთულია.

სულიერი ბრძოლის წარმატებით წარმართვა — რომელ საეკლესიო-სტორიულ პერიოდსაც უნდა მივმართოთ, ყოველთვის მოითხოვდა ჰუმანიტარულ უკიდურეს ძალებს, დიდი დაცემის პირქუშ ერაში — ჭრისტეს მებრძოლს მოეთხოვება ჰუმანიტარული ზეუციდურება ძალები. და ეს გასაგებია. პირველი ქრისტიანებისაგან, რომლებიც ფლობდნენ ყოველისშემძლე რწმენას, ცხოველყოფელ ღმერთისმოყვარეობას და უყოყმანო სულიერ სიმადლეს, ჩვენ განგავსებავებს არა მხოლოდ მკითრედმორწმუნებობა, სულიერი ნელთბილობა (გამოცხადება 3, 15-16) და გაუბედაობა, როგორც ამბობდა ჯერ კიდევ დირხი სერაფიმ საროველი, არამედ აგრეთვე ფსიქიკის ავადმყოფური წყობა. ამ უეჭველი ფაქტის კონსტრუქციით ნუ შემფოთდება დირხული მკითხველი. სულიერი გზის დასაწყისში: ფხიზლად, სწორი თვითშეფასება და გვიციხის მომავალში ყოველგვარი სულიერი სწულებებისაგან. ტენორტონული ბაბილონის ურცხვ საცხოვრებელ ხელში ჰყავთ მორწმუნე მოქალაქეების უმრავლესობა. ნერვული სისტემა განიცდის კოლოსალურ გადატვირთვას და, რაც ყველაზე არსებითია, თითქმის ყოველ ჩვენგანს განცდილი აქვს მომქანცველი, დამაუძლურებელი ხორციელი ვნებების ტყუობა და ჩვენი მწარე გამოცდილებით ვუწყით, თუ რას ნიშნავს ჯოჯოხეთის მოხარკეობა. ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ იდეალურ ფსიქოლოგიურ სიმართლეს არ უნდა მოველოდეთ. რაც უნდა სამწუხარო

ერობა (უსუსლოლობა), რადგან იგი არის „უსაზღვრო გულგრილობა საკუთარი ხსნისადმი“ (ბერ-დამსარბელი იეროსნიმონაზონი სამსონი). უღებნი განწირული არიან უზილაგ ბრძოლაში უცილობელ დამარცხებისთვის. ამას კი — თავის მხრივ, მოპყვება გარდაუვალი სულიერი სიკვდილი. მოუხანიებლობის შემთხვევაში კი — ბოროტების სისასტიკე, ღმერთისადმი გაცნობიერებული წინააღმდეგობა და პიროვნების დაცემა. სულიერი ბრძოლება — რომელიც დროს ნიშნავს წარმოადგენს ახლა აღწევს ისეთ მძლიარ ხარისხს, რომ უმცირეს მდღუნებასაც კი მოპყვება კატასტროფული შედეგები. უმწიკველი, მართლმადიდებლურ-ეკლესიური ცხოვრება ცეცხლვან, აპოკალიპსურ გამოცდის უკმაში მოითხოვს არა მხოლოდ ზემოლიერ ნებას, არამედ თავისებურ ხელმოვინებასაც. „ამ ბრძოლის აუცილებელი წესია: არ ადვილობო გონება. ამის გარეშე იერავითარი ბოროტული გემონიანი ვერ აღწევინ დასახულ მიზანს. ასკეტურად აღწრიდო გონებას კი ძალუქს დაიცვას არა მხოლოდ თავისი ხასწინდღ და თავისუფლება, არამედ მთელი ხსეულისი მიმწვიდრც, თანაც ისეთ პირობებშიც კი, რომელშიც ეს ხსევე შეუძლებლად მიაჩნიათ“ (ბერ-მონაზონი სოფრონია. „მართლმადიდებლური მოღვაწეობის საფუძვლების შესახებ“, გვ. 26. 1952 წლის 30 ნოემბერს პარიზში გამოცემული მოხსენება).

ბოროტი მებრძოლი ძალენიერებები უმავალით კაღნირებით. უწინდელ დროში სხეულის (ხორციელობის) წარმართულ კულტს საგულდაგულად ნიღბდნენ. ცილობდნენ რა, ეს უკანასკნელი წარმოესახათ ორთა გულთა უმანკო, უნახვო, რომანტიული სიყვარულის სახით. ეს გულეები თითქოსდა გულწრფელად მისწრაფოდნენ ყოველივე წმინდა და ნათლისაგან. დღეს ეს რომანტიული კამუფლაჟი (შენიღბვა), როგორც წესი უარყოფილია. გლობალური ერთობლივი მტრევა დაუფარავდ ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის „სულიერ-ხეობრივ გახრწანას. საყოველთაო, დემონური შეტევა ხდება მოზარდ, იოლად დასამორჩილებელ ბავშვურ სულებზეც. დიდი წარმატებითა ცხადობს მრავალი ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ცხოვრობს თავის უომერთო, ზემობრივად გაველურებულ მშობლებთან ერთად, რომლებიც მოწამლულნი არიან ვნებათა თავშეუკავებლობის შხაბით. უფრო მეტიც! ბოლო ხანებში, დასავლეთში სულ უფრო ხშირად გვეხმის ბავშვთა განსაკუთრებული ერთობლივი მისწრაფებები მიზიდვისა თუ ჩაითრების შესახებ. აქედან კი — პირდაპირი გზა დემონთისახურებისაკენ. თანამედროვე ეშმაკისთავებისმცემელთა აზრით, ეს არის „მომავალ ანტიქრისტესადმი უმადლესი მსხვერპლშეწირვა“.

ფარული თუ ცხადი სატანისტების ტაქტიკური მიზანია ხალხში სხვადასხვა მავო-ერთობლივი „სი-ახლებებისადმი“ ინტერესის გაღვივება. სტრატეგიული მიზანი — ქრისტიანული შემეცნებიდან სიცოცხლისთვის აუცილებელი ღვთაებრივი უბიწოების შესახებ აზრის ამოძიარკვა, რაც ქრისტიანული ზნეობრიობის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ჩვენს სასტიკ აპოკალიპსურ ხანაში, როგორც ადრე არასდროს, აქტუალურია სულის ასკეტური სიფიზის უწმინდესი მცნება, ანუ გონების დაცვა. სამწუხაროდ, უამრავი მკითრედმორწმუნე, მსუბუქად მოაზროვნე ქრისტიანი, რომელიც ივიწყებს, რომ „აპოკალიპსი უკვე ხდება, ახლაც — გვიანაც, ვიდრე, ჩვენ ვფიქრობთ“ (იერონიმონაზონი სერაფიმ როუხი). ეს საწყალი ადამიანები ხდებიან ფუჭი ცნობისმოყვარეობისა და გონების ავადმყოფური მაიებილობის მსხვერპლნი. თავიანთ ზნეობრივ

წარმატებით რომ დავიკვათ გონება, წმინდა მამათა მიერ ხორციელ ვნებებთან ბრძოლის სწავლების გათვალისწინებით, აუცილებელია შემდეგი: 1. ზიზი მრუში (ბილი) ცოდვებისადმი მათ ნებისმიერ აზრობრივ-წარმოსახვით გამოვლენაში. 2. ყოველწინარდ გავექცეთ ხორციელი ცუტუნების მიზნებს.

3. მოუღალავად წარმოვთქვათ იესოს ლოკვა. ყურადღებით დავაკვირდეთ მოსულ ფიქრებსა თუ სახეებს იმ მიზნით, რომ შევიძლიოთ მათი სასწრაფო მოკვთა პირველ გამოვლენაზევე. 4. რაც შეიძლება ხშირად ვთქვათ ალსარება. 5. სულ ცოტა, თვეში ერთხელ გულდასმით მოზადების შემადრე ქრისტიანული ვეზიაროთ ჭრისტეს წმინდა სიღმულოებებს. 6. შეურთველი ომი გამოუცხადოთ მცონარობას. 7. რჩევისათვის მივმართოთ გამოცდილ მოძღვრებს. 8. არასოდეს, არავინ და არაფრის გამო არ განვიკითხოთ. 9. საკუთარი ხსნის გზაზე არავითარ შემთხვევაში არ შევიცეთ სასწარკვეთილებას და როგორც არ უნდა დავეცეთ, დირხი იოანე კიბისაღმწერელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მამინვე უღვემარხოთ. ვეახსოვეს, რომ არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევა, მოუნანიებლობის ცოდვის გარდა“.

ფაში ჩავარდნილ ქრისტიანისთვის სულის ასკეტური სიფიზე მიძი-მე ტვირთია. რაღაც ბრძოლასაც რომ ეწეოდეს წარმოსახულ მტრებთან, მაშინაც კი მოქმედებს უნოდ, მექანიკურად, ჩვევისდა მიხედვით, გამარჯვების სურვილის გარეშე. ამიტომ თანდათან მისი შემეცნება ჰკარავს სულისგადამრჩენ სიფიზის ნარჩენებსაც და იღებს ეშმაკულ ჩაგონებას რაღაც „გამოკვეთილი შთაბეჭდვებისადმი“ მისი დაბნელებული გონება ისევე ახლიდან ცოცხლდება „საყვარელ სხეებში“, საბოლოოდ ემონება ბილწ ეშმაკულებს და უკვე აღარ ძალუქს უმბოთობა. იდრე თუ გვიან, ასე დაფანტული, მეოცნებე, ავხორციელი ვნებებით შეპყრობილი გონება კარავს კავშირს ობიექტურ რეალობასთან, ვარდება მირაქული ფსიქულობების სამყაროში და განუწყვეტლოვ იღებს რა წარმოსახულს, როგორც ნამდვილს, კრუს — ჰეშიარიტებად, გადაიქცევა დაცემულ გრძობათა დამჯერ მონად და ბილწი სულების ნებისმიერი ბრძანების შემსრულებელი. რა უნდა ჰქნას უღმერთობის მორეკში დასაღუპავად განწირულმა ქრისტიანმა?

ერთადერთი გამოსავალია ცხოვრება გამუდმებით ღვთისწინაშე. „ყოველგვარი საქმიანობისას გქონდეს გონებაში, რომ ღმერთი ჩემდავს ყოველ შენს ჩანახტქრს და მაშინ არასოდეს შესცოდავ“. (დირხი ისაია ნირტილი. გონების დაცვის შესახებ (27). „სიკეთისმოყვარეობა“, მე-4 გამოცემა. გვ. 463, მოსკოვი, 1905). „ღმერთი თავის ყოველსშემძლე, ყოველსმომცველი და ყოველისწარმართველ ძალით იმყოფება ყოველ ადამიანში — ბოროტსა და კეთილში, როგორც ყველაგან არსებული და ყველაფრის ამსრულებელი. მისი ბრძანებით ამომავალი მზე ერთხანად ჰგენს სხივებს კეთილსა და ბოროტს. ერთხანად აწვიბთ მართალთა და უსამართლოებს. (მათე 5. 45) ასე შეიცავს ცხოვრება ყოველს: კეთილთ და ბოროტთ, მართალთ და ცოდვილთ“, რადგან ჩვენი არსებობა და მოქმედება ამ ძალებითაა განპირობებული. (საქმე 17, 28) მაგრამ ღმერთი თავისი სხვაკუთრებული მადლით, წყალობით, მფარველობით იმყოფება არა ყოველ ადამიანთან, არამედ მასთან, ვისაც მისდამი აქვს შიშითა და სიყვარულით მიპყრობილი მზერა და ყოველთვის შეიგონებოს თავს ღმერთის სიხსლოვეს, როგორც



გამოვიდა ქურნალ „ჯვარი ვაზისას“ 1990 წლის მეოთხე ნომერი. „ჯვარი ვაზისას“ ადრე მხოლოდ ეკლესიებში იყიდებოდა და მისი ტირაჟიც მორწმუნეთა მკითრე რიცხვზე იყო გათვლილი. უკანასკნელ ხანს კი გაიზარდა როგორც მისი პერიოდულობა, ისე ტირაჟიც. და სხვათა შორის, შეიცვალა ქურნალის თემატიკაც. ახლა მასში იბეჭდება ღვთისმეტყველების საკითხები, მასალები ჩვენი რესპუბლიკის სასულიერო ცხოვრებიდან, აქვს ბიბლიოგრაფიული განყოფილება, ბეჭდავს სამკურნალო მკურნარეების შესახებ. ჩვენი აზრით, ქურნალი არა მხოლოდ მორწმუნებს, არამედ ფართო წრეს დაინტერესებს, თუმცა, უმთავრესად მაინც მორწმუნე ქრისტიანთათვის არის განკუთვნილი. დაინტერესებულ მკითხველს ვაცნობებთ, რომ „ჯვარი ვაზისას“ გასული წლის ოთხივე ნომერი იყიდება საფიზრო მაღაზია „მერანში“, რომელიც მდებარეობს რუსთაველის პროსპექტზე. საქმთარი ინფორმაცია.



საქართველოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი რეგისტრირებული



თბილისის უნივერსალური ბირჟა

- სააქციო საზოგადოება 20 მილიონიანი საწესდებო ფონდით
- თქვენი კაპიტალის დაცვა ინფლაციისგან
- თქვენი კომერციული რისკის დაზღვევა
- ათასობით პოტენციური მყიდველი და გამყიდველი მთელ მსოფლიოში — თქვენი საქმიანი პარტნიორია
- იაფად ყიდვის და მომგებიანად გაყიდვის საშუალება
- ეფექტური მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება
- თქვენი საბროკერო ფირმების შექმნა და რეგისტრაცია
- შესაძლებლობა, დაეფულოთ ბროკერის პროფესიას
- საბირჟო ვაჭრობებში და სავალუტო აუქციონებში მონაწილეობა
- ექსპრეს-ინფორმაცია მოწოდების, მოთხოვნისა და ფასების შესახებ
- მოლაპარაკების ორგანიზაცია და ჩატარებაში, კონტრაქტების მომზადებასა და გარიგებებში დახმარების გაწევა
- თქვენი პოტენციური პარტნიორების აუდიტორული შემოწმება
- თქვენი პროდუქციის რეკლამა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ
- სემინარები, კონფერენციები და აღმოსავლეთის და დასავლეთის ბიზნესმენებთან რეგულარული შეხვედრები

ამ უნივერსალური შესაძლებლობების გამოყენება უშუალოდ მხოლოდ ბირჟის აქტიონერებს და ბირჟის საბროკერო აღმძღვანელებს

თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი!

ბირჟის აქტიონერება და სხვა დინამიკურად იზრდებულ და კერძო პირება მიმართონ მისამართით:

თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, ცენტრი „საგანე“, საინფორმაციო-საგამოფენო ოფისი, ტელ: 98-48-17



საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა ECONOMIC

სხვა პროგრამებზე ოთხჯერ მეტად და ორჯერ იაფად



ჩვენ არ ვაზიანდებით. მობრძანდით და დარწმუნდებით, რომ არც ერთ სხვა საბუღალტრო პროგრამას არ გააჩნია იმის ნახევარი შესაძლებლობებიც კი რაც ECONOMIC-ს:

- ორგანიზაციის ბალანსის მიღება ნებისმიერ მომენტში;
- ბრუნვითი უწყისების შედგენა, როგორც თანხობრივად, ისე რაოდენობრივად;
- ძირითად საშუალებათა აღრიცხვის ავტომატიზაცია;
- საკუთარ მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ტექსტის საკუთარი რედაქტორი (ქართულ ენაზე);
- ელექტრონული ცხრილი გამოსასვლელი ინფორმაციის ფორმალის შედგენისათვის;
- სხვადასხვა რეზიდენტული პროგრამები.

ECONOMIC ამარტივებს თქვენს შრომას, ათავისუფლებს თქვენს სამუშაო მაგიდას ზედმეტი ქაღალდებისაგან. პროგრამა თქვენთან დიალოგს ქართულ ენაზე წარმართავს.

ჩვენი გამოცდილი პროგრამისტები ერთ თვეში შეგასწავლიან კომპიუტერთან მუშაობის საფუძვლებსა და პროგრამა ECONOMIC-ის გამოყენებას, ხოლო ჩვენი გამოცდილი ფინანსისტები მოგაწვდიან უახლეს ინფორმაციას სააღრიცხვო სისტემებსა და ეკონომიკის მართვის სფეროში. ერთთვიანი კურსის გავლის შემდეგ კომპიუტერის დისკეტზე ჩაწერილი ECONOMIC თქვენი საკუთრებაა.

ჩ ა ა ბ ა რ ე თ წ ა რ ს უ ლ ს თ ქ ე ვ ნ ი მ ძ ი მ ე შ რ ო მ ა

განცხადებების მიღება 30 აპრილამდე. სწავლა 1 მაისს დაიწყება.

მეცადინეობები — ყოველდღე, კვირის გარდა, საღამოს საათებში. ჩვენ მზად ვართ ვუპასუხოთ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას. ტ.39—27—62.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40, თბილისის მენეჯერთა სკოლა, ოთახი 610,

სასწავლო—საკონსულტაციო კოორპორაცია „ამბა“.

განსოვდით, ჯანმრთელობა დიდია განძია!

ცენტრალურ საწყლოსნო სპორტულ კომპლექსს „ვერეში“ ა. წ. 1 მაისიდან ფუნქციონირებას იწყებს ექსტრასენსის კაბინეტი, მოგემსახურებათ გამოცდილი დიალოგიზებული ექსტრასენსი მყავლა კაჭკაჭიშვილი, რომელიც მკურნალობს მრავალი სახის დაავადებებს.

მისამართი: ყოველდღე 18 საათიდან 21 საათამდე; შაბათობით 17 საათიდან 20 საათამდე. მისამართი: კოსტავას 1 შეხახვევი 34. ტელეფონი: 99-63-93.

აღმინისტრაცია.

კიდევ ერთი დათო

დიმლომის დასაცავად ვეგზადებოდით, წლებს ხომ სტუდენტური ცხოვრების ბოლო წელი იყო. საუბედროდ ბოლო აღმოჩნდა ეს წელი დათო ცირეკიძისათვის, ბოლო აღმოჩნდა ეს გაზაფხულიც და ის მზიანი დღეც, რომელიც ისევ მისი თანატოლის მოქმედება დანამ წაართვა...

ღევი შევხვდებოდით ერთმანეთს, ოცნებობდი ოჯახზე, შვილებზე, სიყვარულზე... სამწუხაროდ, ოცნება ოცნებადვე დარჩა... გამოსაშვებ საღამოზე შევიკრიბებოდით და ალბათ იქაც შენ იქნებოდი ყველაფრის სულის ჩამდგმელი, ელფერის შემმატებელი, მაგრამ ვაი, რომ საუბედროდ ასე აღარ იქნება, ვიკრიბებით, რომ გაგაცილოთ უკანასკნელ გზაზე... ნახვამდის ჩვენო დათო. ჩვენ ყველას ქრისტიანულად გვეყრება, როცა იქნება, ალბათ, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

ჯგუფიანია.

ზაზა თოფჩიშვილის მოგონება

27 აპრილს, ზაზა, შენი დაბადების დღე იყო... ისევ მინდვრის ყვავილების სურნელი დგას, უზომოდ რომ გიყვარდა. ტაძარში მლოცველი ქალები ისევ გკითხულობენ, ის ღვთისმოყვარე ბიჭი სად არის, რომ აღარა ჩანსო და ტაძრის იმ კუთხეს, სადაც შენ გიყვარდა დაჩოქილი ლოცვა, დანახვით ვახედავენ ხოლმე... ისევ ყველას ახსოვს, ცოტაც რომ დაგელოდა, სამაჩაბლოშიც ალბათ ზვარავანდ შეწირული უპირველესი მსხვერპლი იქნებოდი. ასე გვეყრება და ასე ვფიქრობთ შენი ახლობლები, პირველი შენ გადაუდგებოდი რუსის ტანკს და ალაღად, დაუნანებლად გასწირავდი შენს სიცოცხლეს,

მაგრამ, ღმერთსაც კარგი უყვარსო და ამიტომაც იჩქარა ალბათ... თურმე, რა დიდ ტყვიას, რა დიდ დარდს, დიდ სიყვარულს ატარებდი გულით და ჩვენ ვერ ვაგვიგეთ, ვერ ჩავწვდით შენი სულის ხვეულებს. 4 რვეული დაგვიტოვე შენი გაუმხელებელი სიყვარულით, ფიქრით და ნატვრით სავსე, სადაც ჩატიე შენი ცხოვრების 24 წელი. რაღაც საოცრად სხვანაირი იყავი, არავის ჰგავდი, თითქოს ისწრაფვოდა შენი ფაქიზი სული, რაც შეიძლება მაღელ შერწყმოდა ზეცას. რატომ?!.

შენი ახლომეგობარი ცირა, თვა და არჩილ ჩინაბაძე-380

ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის დაფუძნებითი ქალისათვის ესაჭიროება ინვალიდის ეტლი. ავადმყოფი 60 კილოგრამამდე იწონის, სიმაღლე მეტრი და 60 სანტიმეტრია. თუ ვინმეს აქვს დახმარების სა-

შუალება, გთხოვთ, ეტლი მოგვაწოდოთ დავით აღმაშენებლის № 121 ნომერში, ანდა დარეკოთ ტელეფონით: 95-17-67.

სათნოების ორდენი

მუმინტარული ასოციაცია „კათარზისი“

გამაკაცთა საშუალებოლი

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ „კონტაქტს“.

აბიცივიშულო გამაკაცებოლი


მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურება) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მოუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ერექტორითერაპია, მედიკამენტოზური, აბიურაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49^ა, (სპორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.
შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.
მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლემსი“-ს ფირმა „მამისონი“-ს გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელს გადაეცემა სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტრაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს.

ვიწვევთ მსმენელს, რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა, მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულება 2960 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 ივნისამდე.

ჩვენს ანბარში №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანბარში №000161307, კოდი 521006, სახელმწიფო ბანკის საოკუპაციო სამმართველო.

გელთ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გვეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტია თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დაწვირილუბითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით: 95-23-72; 95-93-72.
მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვენის ავტოგასი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

სარეკლამო კოოპერატივი „ლომისი“ აცხადებს ფოტოკონკურსს თემაზე „მშობლები და შვილები“. გამარჯვებული დაჯილდოვდება 1000 მანეთით. ფოტო უნდა იყოს ფერადი, ფოტოსურათი გამოყენებული იქნება ამერიკელი ფსიქოლოგის და პედაგოგის პ.ჯ.ჰაინოტის წიგნის „მშობლები და შვილები“-ს ქართული თარგმანის გარეკანის გასაფორმებლად. ფოტოსურათზე საგამომცემლო უფლება რჩება კოოპერატივ „ლომისს“.

საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იქნას ა/წლის 21 მაისამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, გალაქტიონის 20, კოოპ. „ლომისი“. ტელ. 99-72-61.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალში

შთ, ვისაც აწუხებს შარდ-სასქესო სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებები (ურთროტიტი, ცისტატი, ქრონიკული პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე), შეუძლიათ მიმართონ აღქმანდრე ჭავჭავაძის №2 (ოპერის პირდაპირ) მდებარე მე-18 პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულ ფირმა „თორის“ სამედიცინო ფილიალს, რომელიც ფირმის შიგნით აღჭურვილია ელექტროსტიმულატორ „ინტრატონით“, რომელიც საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება პროსტატის და იმპოტენციის სამკურნალოდ (სრულყოფილი გამოჩნდებით). მიღწევა შემთხვევათა 80-90%-ში. პროცედურები უმტკივნეულოა. აღნიშნული პათოლოგიების მკურნალობა ხდება აგრეთვე თანამედროვე საზღვარგარეთული პრეპარატების გამოყენებით, ხალხური მედიცინის აღარებული მეთოდებით, ბიოსტიმულატორებით, სამკურნალო ფიზკულტურით.

აქვე ხატარდება სრულყოფილი ლაბორატორიული გამოკვლევები.

ცნობებისათვის მიმართეთ: ალ. ჭავჭავაძის ქ. №2, მე-18 პოლიკლინიკა, კაბინეტი №22. 17.00 საათიდან.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

თბილისის მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი გიწვევთ პრესტიჟული პროფესიის „აირთა და ელექტრორკალით შედულები“ შესასწავლად. მობრძანდით, შეისწავლეთ ახალი პროფესია, რომელზედაც დღეს დიდი მოთხოვნილებაა გვირახმშენებლობაში, გაზის მრეწველობაში და სხვა დარგებში, აქვს დიდი ანაზღაურება.

ხეალ კი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შეიძლება გარდაუვლად საჭირო შეიქმნას იგი თქვენთვის, როგორც მეორე პროფესია და ბოლოს, შედულება ეს ხომ ყოველი ოჯახისათვის, სოფლად თუ ქალაქად, ასე რიგად საჭირო რამაა.

შემდულებელთა კურსები იწყებს ფუნქციონირებას 29 აპრილს 18⁰⁰ საათზე თბილისის მეცნიერების და ტექნიკის სახლში.

მისამართი: დაღმამენებლის პროსპექტი № 79.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით 95-30-35, 14⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე.

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი „სამეზა-200“ წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა;
2. ტობო-საძიებო სამუშაოების შესრულება;
3. მოსახლეობის კონსტრუქტურის შესწავლა და დანერგვა;
4. შიგა საწარმოო-სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შერჩევა-განაწილება;
5. სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვება-გამართვის სამუშაოების შესრულება.

გარდა ამისა კოოპერატივი თანამშრომლობს სხვადასხვა ქალაქების გამოჩენილ მეცნიერ სპეციალისტებთან, რომელთა მონაწილეობითაა ჩვენ დაგეგმარებით მრავალ საწარმოო, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გადაწყვეტაში.

მსურველებმა მიმართეთ: თბილისი, ულიანოვის I შესახვევი №16^ა, ტელ. 62-18-40, 10⁰⁰ საათიდან 14⁰⁰ საათამდე, ან ითანე პეტრიწის ქ. №27 (ყოფილი ძნელაძის), II სართული 16⁰⁰ საათიდან 19⁰⁰ საათამდე. ტელ. 99-56-81, უქმე დღეებში და საღამოს საათებში დარეკეთ ტელ. 96-52-00.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

თბილისში იმყოფება ავტორის ქ. კლავენფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, „მერსედესი“ „აუდი“ და „სკიერის“ ფირმების კონსულტანტი, დოქტორი ფრიდრიხ ვლაზლი.

30 აპრილს და 1 მაისს 7 საათზე თბილისის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების სასახლეში (ხეთაგუროვის ქ. № 26) ხატარდება მისი ლექციები თემაზე: სოციალური კონფლიქტების მართვა. ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს.

თავისუფალი ინინიბიცივიზის ასოციაცია „ზვარი“

ხალგაზრდა ქართული

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 98-97-81;
პახუხიშხვებელი მდივანი — 98-81-58;
წერილების განყოფილება — 98-80-48.

გაზეთი გამოდის კვირაში ხანჯაჩა საშუაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, შ. კობახაძის 14, იბეკდება ოფსეტური წებით ხავაზეთი კორპუსში ბოზარაულის 29.

1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 68400

რედაქტორი
მერაბ ბალარაძიშვილი

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კონსტაპას ქ. № 14.